ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

18 ივნისი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 112 (10 525) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ვიღას ახსოვს საბჭოთა ნაკრები?

**ზაფხული** დღე დაუდგა საბჭოთა საკალათბურთო ნაკრებს. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და საქართველოს განდგომამ, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, საბოლოოდ დაუსვა წერტილი „რუსთა“ უძლეველობას და ბატონობას მსოფლიო საკალათბურთო სამყაროში. წყალწაღებული ახლა მართლაც ხავს ეკიდება, რაღას არ ცდილობს საბჭოთა კალათბურთის ფედერაცია, რათა როგორმე კვლავ მიიმხროს საკუთარ გზაზე დამდგარი რესპუბლიკების ფედერაციები, თუნდაც ცალკეული სპორტსმენები. ახლა ღია ჩემპიონატის ჩატარებაზეც კი თანახმანი არიან... მაგრამ, როგორც იტყვიან, ის დრო წავიდა.

ეტყობა, საბჭოთა ნაკრების ტრადიციულმა მეტოქეებმა კარგად იციან, რომ ჯოჯოხეთში არავინ მიბრუნდება და საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა გუნდს, როგორც სერიოზულ მეტოქეს, სათვალავში აღარ აგდებენ. ამერიკელები, რომლებსაც უკვე [illegible] სთან მოუწევთ ანგარიშის გასწორება ფინალში, დაუფარავად აცხადებენ: ბარსელონაში, ოლიმპიური ოქროს მედლებისთვის დავაში იუგოსლავიის ნაკრებს 50 ქულით დავამარცხებთო. ვფიქრობთ, ქადილი უსაფუძვლო არ უნდა იყოს, პროფესიონალი კალათბურთელები ამ ოლიმპიადაში ხომ პირველად იასპარეზებენ.

# ნეტავ არიან მორწმუნენი

**ამ** დღეებში საბჭოთა კავშირის სპორტული უწყების თავმჯდომარემ ნ. რუსაკმა ვრცელი მოხსენება გააკეთა ნაკრები გუნდების ოლიმპიურ სამზადისზე და ყველასთვის მოულოდნელად მომავალი ვარდისფერად დახატა. არადა, მოსკოვის მახლობლად გამართულ ამ თათბირს, უმთავრესად, ნაკრები გუნდების მწვრთნელები და ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ოპტიმიზმი, რა თქმა უნდა, დიდად დასაფასებელი თვისებაა, ოღონდ მას უსათუოდ უნდა ჰქონდეს რაღაც ლოგიკა, რეალური საფუძველი. პროფესიონალი სპეციალისტები კარგა ხანია, თავს იკავებენ ოლიმპიური პროგნოზებისგან და მათ ვარავინ გაამტყუნებს ამაში, ვინაიდან ტოტალური კრიზისისა და კატასტროფის ფონზე, რასაც რამდენიმე წელია ქრონიკულად განიცდის საბჭოთა კავშირი, შეუძლებელია ერთი რომელიმე დარგი განიცდიდეს აღმავლობას; მით უმეტეს, ისეთი, როგორიც გახლავთ სპორტი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

რისი იმედი აქვს ნეტავ თავმჯდომარეს? ბარსელონაში, მისი აზრით, საბჭოთა სპორტსმენები 140 მედალს მოიპოვებენ, მათ შორის 50 უმაღლესი ხარისხის ჯილდოს. ეს მედლები და სხვა საპრიზო ადგილები (ოლიმპიადაზე არაოფიციალური გუნდური ჩათვლა ექვსი პირველი ადგილის გათვალისწინებით ხდება), ნ. რუსაკის აზრით, სავსებით საკმარისი იქნება, რომ საბჭოთა დელეგაციამ გუნდური გამარჯვება მოიპოვოს ბარსელონაში. შესაძლოა, თავმჯდომარე ერთში იყოს მართალი — 140 მედალი (მათ შორის 50 ოქროსი), საკმარისი აღმოჩნდეს გუნდური პირველი ადგილისთვის, მაგრამ ამდენ მედალს ხომ უნდა მოგროვება?

თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ უფრო რთულად იქნება საქმე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, ვინაიდან აქ საკმაოდ ძლიერ ძალად წარდგება გაერთიანებული გერმანიის დელეგაცია, მაგრამ, რუსაკის აზრით, საბჭოთა სპორტსმენები ალბერვილის თოვლიან ტრასებზე 10-11 ოქროს მედლის მოპოვებას მაინც შეძლებენ. ეს კი გუნდური წარმატების გარკვეული გარანტია იქნება.

რას ემყარება სპორტის მთავარი მესვეურის რწმენა და იმედები? პირველ ყოვლისა ტრადიციებს, და სპორტსმენთა მომზადების სისტემას, სადაც მთავარ როლს, თურმე, პატრიოტული გრძნობები თამაშობენ. რუსაკს დიდი იმედი აქვს ასევე ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტისაც, რომელმაც საგრძნობლად გამოაკეთა საქმიანობა და საკმაოდ მაღალკვალიფიციურ რეზერვს ამზადებს. ამაზე ითქმის სწორედ — ნეტავ არიან მორწმუნენიო.

# თათბირიდან — საქმეზე!

**სრულიად** საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით, გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გაიმართა თამაშების ორგანიზატორების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეთა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეგიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი. განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომელთა დროული მოგვარება ხელს შეუწყობს თამაშების მაღალ დონეზე ჩატარებას.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის ახალშექმნილი სამინისტროების მინისტრი კახი ასათიანი.

# ტურნირები და შედეგები

● **ბუდაპეშტი.** მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში საპრიზო ადგილები დაიკავეს: ქალები. დაშნა. 1. მარინა ხორვატი (უნგრეთი), 2. ევა-მარია იტრენი (გფრ), 3. ოქსანა ერმაკოვა (სსრკ). ხორვატმა ფინალური ბრძოლა იტრენს მოუგო ანგარიშით 6:5, 5:6, 6:4. ვაჟები. ხმალი. 1. გრიგორი კირიენკო (სსრკ), 2. პეტერ აბაი, 3. დიერდ ნებალდი (ორივე — უნგრეთი) და ვადიმ გუტცაიტი (სსრკ). კირიენკომ ფინალში აჯობა აბაის ანგარიშით 5:2, 2:5, 5:3.

● **პარიზი.** საფრანგეთის დედაქალაქის „დიდი პრიზის“ გათამაშებაში (ველოსპრინტერთა შორის) ბრწყინვალედ იასპარეზა და პირველი ადგილი დაიკავა შეჯიბრების მასპინძელმა ფელიცია ბალანჟემ. ფინალური სერია მან მოუგო ლენინგრადელ გალინა ენიუხინას.

● **ბრემა.** სპრინტერ ქალთა მსოფლიო თასის გათამაშებაში დაწინაურდა ესტონელი ველოსიპედისტი, ოლიმპიური ჩემპიონი ერიკა სალუმიაე. იტალიის ამ ქალაქში მან თასის მეორე ეტაპი მოიგო. იგი უძლიერესი იყო პირველ ეტაპზეც, რომელიც ჰანოვერში (გერმანია) ჩატარდა.

● **ჰამილტონი.** ახალი ზელანდიის ამ ქალაქში მოეწყო მორაგბეთა ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კავშირისა და ადგილობრივ გუნდებს შორის. მასპინძლებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს 56:6.

● **პო** (საფრანგეთი). კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა იუგოსლავიის ნაკრებმა, რომელმაც ბოლო შეხვედრა მოუგო ფრანგებს 71:68. საბჭოთა კალათბურთელებმა ორი მატჩი წააგეს, ერთი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს და მეორე ადგილზე გავიდნენ, ვინაიდან ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდათ.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის გამოტოვებული მატჩები:

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0
„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მზიური“ (გალი) 4:3
„სულორი“ (ვანი) — „შევარდენი“ (სამტრედია) 6:2
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:2
„იბერია“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2:0
„გურია“ (ლანჩხუთი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 2:0
„გორდა“ (რუსთავი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:0.
„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 1:2
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 1:0

# ოცნება, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ ასრულდა

**ბირმინჰემი.** უპირატესობა მაინცდამაინც საგრძნობი არ ყოფილა, მაგრამ ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა. იაპონიის პროვინციულმა ქალაქმა ნაგანომ მოიპოვა უფლება უმასპინძლოს 1998 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს! ეს გადაწყდა ახლახან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის საგანგებო სხდომაზე. ნაგანოს ჰყავდა საკმაოდ სოლიდური კონკურენტი — ამერიკის შეერთებული შტატების საკურორტო ქალაქი სოლტ-ლეიკ-სიტი, მაგრამ მას სულ რაღაც ოთხი ხმა დააკლდა.

იაპონიაში ეს გამარჯვება კმაყოფილების გრძნობითა და სიხარულით აღიქვეს. განსაკუთრებით დიდი ზარ-ზეიმი გაიმართა ნაგანოში, რომლის მთელი მოსახლეობა გარეთ იყო გამოსული და ყურადღებით ადევნებდა თვალს ქალაქის ქუჩებში დადგმულ ვეებერთელა ტელეეკრანებს.

როგორც კი დიქტორმა გამოაცხადა ნაგანოს გამარჯვება, ზღვა ხალხი მიაწყდა ცენტრალურ მოედანს, ახალგაზრდები ეხვეოდნენ ერთმანეთს, კოცნიდნენ, მოზრდილები კი თვალებზე ცრემლმორეულნი უყურებდნენ ამ საერთო სიხარულს. სიხარული კი იმდენად დიდი იყო, რომ მუნიციპალიტეტმა სადგურის მოედანზე უფასო „წვეულება“ მოაწყო (ღვინითა და საუზმით).

ნაგანო ამ გამარჯვებას ნახევარი საუკუნე ელოდა. ქალაქმა ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა პირველად 1940 წელს ისურვა, მაგრამ მაშინ მას სხვა, უფრო ძლიერი კონკურენტები გამოუჩნდა. როგორც ტოკიოს გაზეთები აღნიშნავენ, იაპონიის ოლიმპიურ კომიტეტს არ უნდა გაუჭირდეს ზამთრის თამაშების მოწყობა, ვინაიდან მას უკვე აქვს საკმაო გამოცდილება — 1972 წლის თეთრ ოლიმპიადას ხომ საპორომ უმასპინძლა.

ერთი სიტყვით, ამ ამბით გახარებულია ყველა... ბუნების დაცვის სამსახურის გარდა. მას საპოროს თამაშების შემდეგ დიდი გამოცდილება დაუგროვდა და სულ მალე ოლიმპიურ კომიტეტს თავის პრეტენზიებს წარუდგენს.



**დიდ** კალათბურთში, ისევე როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ტალანტები ბავშვთა გუნდებიდან მოდიან. მათი პირველი ნაბიჯები ამ გზაზე თანატოლთა შეჯიბრებებში მონაწილეობაა. ახლა ერთი ასეთი ასპარეზობა მიმდინარეობს თბილისში, ვერის ბაღში, მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში. ესაა მინიკალათბურთში 11-12 წლის ბიჭუნების რესპუბლიკური პირველობა, სადაც გამოდიან თბილისის „მართვეს“ (სამი), სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, აგრეთვე „დინამოს“, „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები.

**სურათზე:** თამაშობენ „მართვე-8“ და ბათუმის გუნდები.

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტო.

## ტრიუმფი 31 წლის ასაკში

**მილანი.** „ჯირო დ იტალიის“ ბოლო ეტაპის სტარტზე 31 წლის იტალიელს ფრანკო კიოჩოლის უკვე ულოცავდნენ გამარჯვებას. მისი უახლოესი მეტოქეები და თანამემამულეები — კლაუდიო კიაპუჩი და მასიმილიანო ლელი მანამდე არაფრით გამორჩეულ ლიდერს შესაბამისად 3 და 6 წუთით ჩამორჩებოდნენ. ასეთი უპირატესობის დაკარგვა ბოლო ეტაპზე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, თუმცა გარკვეული ტაქტიკური სქემა პრეტენდენტს (ამ შემთხვევაში კიოჩოლის) მაინც ჰქონდა შემუშავებული: იგი უსათუოდ ძირითად ჯგუფთან ერთად უნდა მისულიყო ფინიშთან და წინ არ უნდა გაეშვა კონკურენტები. კიოჩოლიმ ორივე პირობა დაიცვა და მილანში გამარჯვებული შევიდა.

ეტაპზე კი პირველი-მეორე ადგილები იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ და ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვმა (სსრკ) გაითამაშეს. იტალიელი პირველი იყო.

74-ე „ჯიროს“ ჩემპიონი გახდა ფრანკო კიოჩოლი. მომდევნო ორი ადგილიც (საერთო ჩათვლაში) იტალიელ ველოსიპედისტებს — კლაუდიო კიაპუჩისა და მასიმილიანო ლელის ხვდათ.

## გონს მოდი, მარკ!

**კანი** (საფრანგეთი). კიდევ ერთი ახირებული ცდა და კიდევ ერთი აუსრულებელი ოცნება. თუმცა, ამ ქალაქში, ტრადიციის თანახმად, ყველა სურვილი უნდა ასრულდეს, ვინაიდან მხოლოდ აქაა და არსად სხვაგან სანტა-კლაუსის მუზეუმი. მაგრამ თოვლის ბაბუა ეხმარება მხოლოდ პატარებს, ლეგენდარულმა მოცურავემ მარკ სპიცმა კი უკვე გადააცილა ოთხ ათეულს.

**მიუნხენის** ოლიმპიადის შვიდგზის ჩემპიონმა კარგად იცის, რომ 41 წლის ასაკში ვერ მოკრეფს ციდან ვარსკვლავებს, მაგრამ ბარსელონის თამაშებში გამოსვლის ისეთი დიდი სურვილი აქვს, რომ ებრძვის და ებრძვის ბედისწერას.

ამჯერად მან ბედი სცადა 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში, მაგრამ... მხოლოდ ბოლო ადგილი დაიკავა (59,03). გამარჯვება კი ცნობილ კანადელ მოცურავეს მარსელ ჟერის დარჩა — 56,96.

კანის ე. წ. ვარსკვლავთა ტურნირმა ბევრ ასაკგადაცილებულ მოცურავეს მოუყარა თავი, მაგრამ მათ შორის, მხოლოდ მსოფლიოს ორმა ექსრეკორდსმენმა ივარგა. 100 მეტრზე ბრასით ცურვაში უნგრელმა ნორბერტ როსამ პირველი ადგილი დაიკავა (1.01.51). მას მცირედით ჩამორჩა ინგლისელი ადრიან მიურჰაუზი.



**მიწისძვრამ** კვლავ შეაზანზარა საქართველო. 15 ივნისს 4 საათსა და 59 წუთზე ჯავიდან 8-10 კმ-ის დაშორებით იქ, სადაც ეპიცენტრი დაფიქსირდა, მიწისქვეშა ბიძგი 7-8 ბალის სიმძლავრისა იყო. ჯავის ახლომდებარე სოფლებში, აგრეთვე გორის რაიონში დაინგრა საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ნაგებობები. არის მსხვერპლი. დაღუპულთაგან ოთხი ბავშვია. ხუთ ათეულზე მეტი ადამიანი სერიოზულად დაშავდა.

სტიქიური უბედურების ზონაში იმავე დღეს ჩავიდა კომისია მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით. ყველაფერი კეთდება მოსახლეობის დასახმარებლად და მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ.

ეს სურათი 15 ივნისს სოფელ ცხენთაში გადაიღო ზურაბ ხორავამ.

# ისინი ხვალ დილით იტალიაში გაემგზავრებიან!



საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდი, როგორც ადრე ვიუწყებოდით, ამ დღეებში იტალიაში (მილანი) მონაწილეობას მიიღებს ევროპის ალტერნატიულ პირველობაში. ჩვენი სამბისტები ამ შეჯიბრებაზე ცალკე გუნდად მიიწვიეს. ევროპის ოფიციალური პირველობა კი ამას წინათ, ისრაელში ჩატარდა. ეს იყო ულიმღამო შეჯიბრება, რადგან, ძლიერმა სპორტულმა სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს მონაწილეობაზე. მაგრამ მათ სურვილი გამოთქვეს ალტერნატიულ პირველობაში იასპარეზონ.

მიუხედავად, მონაწილეთა სიმცირისა, საბჭოთა გუნდი ისრაელში ძველებურად აღარ ბრწყინავდა — ნაკრები ხომ ის აღარ იყო, რაც უწინ. აი, ნამდვილი სპორტული პაექრობა ახლა შედგება იტალიაში (ცხადია, საბჭოთა ნაკრების გარეშე). მილანში თავშეყრილ ქვეყნების წარმომადგენლებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ნავარაუდევია, იქვე შეიქმნას სამბოში ევროპის ალტერნატიული ფედერაცია, რომელიც არა მარტო დაასუსტებს, საერთოდაც გამოუთხრის ნიადაგს ძველ ასპარეზობას, სადაც, როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაში მუდამ საბჭოთა ნაკრები ბატონობდა.

საქართველოს სამფეროვანი დროშით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ყინით ანთებული ქართველი ფალავნები უთუოდ იტყვიან თავის ავტორიტეტულ სიტყვას თანასწორთა შორის.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი.










# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„კოლხეთი“ (ხობი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 3:3 (2:0).**

ხობი. ცენტრალური სტადიონი. 14 მაისი.

„კოლხეთი“: ბერაძე, ხურცილავა, კაციტაძე, შურღაია, ლატარია, მამფორია, გვასალია (კალუგა), რუხაძე, გოგაძე, პიმუშინი, ჰიჰინაძე.

„ცხუმი“: ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, გ. ხერხეულიძე, თ. მაჩიტაძე (სამივე — თბილისი).

მატჩი უხვგოლიანი გამოდგა. მე-2 წუთზე გოგაძის კარგი გადაცემა ვერ გამოიყენა ჰიჰინაძემ — დამცველებმა თავით მოიგერიეს ცარიელ კარში გაგზავნილი ბურთი, თუმცა ამ მწვავე სიტუაციის ერთ-ერთ ეპიზოდში „ცხუმის“ ფეხბურთელებმა ხელითაც ითამაშეს. პენალტი ლატარიამ დაარტყა და ანგარიშიც გახსნა. 49-ე წუთზე პიმუშინი პირისპირ დარჩა ყორყოლიანთან, მაგრამ წამოსწრებულმა მცველმა იგი საჯარიმოში წააქცია. კვლავ თერთმეტმეტრიანი, კვლავ ლატარია და ანგარიში ორამდე გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, სტუმრებმა არაერთი სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს: ბურთის გატანა შეეძლოთ ცაავას, ჯიშკარიანს, გოგრიჭიანს...

63-ე წუთზე ფარულავას შეცდომით კარგად ისარგებლა გოგაძემ და ანგარიში სამამდე გაზარდა. მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და თამაშის სადავეები მთლიანად „ცხუმმა“ იგდო ხელთ. 71-ე წუთზე ჰიჰინაძის უხეირო თამაშის შემდეგ ბურთი მიიღო ჯიშკარიანმა, რომელმაც გამოიყენა კიდეც ეს შანსი. 83-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს კვლავ უყურადღებოდ დარჩენილი ჯიშკარიანი დაეუფლა, რომლის ზუსტმა დარტყმამ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. სოხუმელებმა, რომლებიც მტკიცედ ფლობდნენ ინიციატივას, 85-ე წუთზე კვლავ მწვავედ შეუტიეს და გოგიაშვილმა მესამე გოლი გაიტანა.

ერთი სიტყვით, მეორე ნახევარი „ცხუმის“ ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. მათ მართლაც შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს და თავიანთი ოსტატური თამაშით მაყურებელთა მოწონება და სიმპათიები დაიმსახურეს.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

**„სულორი“ (ვანი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1:0 (0:0).**

ვანი. გ. ნიკოლეიშვილის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 14 ივნისი.

„სულორი“: კიკალეიშვილი, კანკაძე, გ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი, ძაგნიძე, ორმოცაძე (არველაძე), პაიკიძე, გიზო ბრეგვაძე, ხურცილავა, ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.

„მარგვეთი“: დევაძე, ტოგონიძე (წითელაშვილი), ლონდაძე, გურიელიძე, ლაცაბიძე, გაბრიჭიძე, ინიაშევი, ავრამიდისი, ჯულელი (ფოცხვერაშვილი), კიკნაძე, კერძევაძე.

მსაჯები: ო. გუნთაძე, დ. თოდუა (ორივე — თბილისი), დ. გვაზავა (აბაშა).

გააფრთხილეს გოჩა ბრეგვაძე.

ზედიზედ სამი დამარცხების შემდეგ „სულორი“ აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდა, ამიტომაც ვანელები საგანგებოდ მოემზადნენ ამ შეხვედრისთვის. მატჩი კი იმით დაიწყო, რომ პირველივე წუთზე ხურცილავამ ხელიდან გაუშვა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა. ამის შემდეგ თამაშმა მოედნის შუაგულში გადაინაცვლა და სახიფათო სიტუაცია არც ერთ კართან არ შექმნილა.

ვანელებმა საუცხოოდ ითამაშეს მეორე ნახევარში. 52-ე წუთზე პაიკიძემ ვერ გამოიყენა კარის აღების ხელსაყრელი შესაძლებლობა. ასეთსავე სიტუაციაში ვერ ივარგა ავრამიდისმა. თამაშის ბედი 62-ე წუთზე გადაწყდა, როცა ზენაიშვილმა ეფექტური დარტყმით გამარჯვების მომტანი ბურთი გაიტანა.

**მურთაზ პირველაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

**„ივერია“ (ხაშური) — „გორდა“ (რუსთავი) 2:1 (0:1).**

ხაშური. ცენტრალური სტადიონი. 14 ივნისი.

„ივერია“: ბრიაუნისი, რ. ნოზაძე, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ჭანგურიძე, ხარაზიშვილი (ჭინჭარაული), ქიმერიძე, კიხელიოვი, მჭედლიშვილი, ტარიელაშვილი, რობაქიძე (ჰყოიძე).

„გორდა“: ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ლობჟანიძე, თორდიშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, მიქაშავიძე, მეტრეველი.

მსაჯები: ე. სილაგავა (თბილისი), დ. ხანაია (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში).

გააფრთხილეს რ. ნოზაძე.

ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა და დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. განსაკუთრებით ითქმის ეს იმ მატჩებზე, სადაც ლიდერები და აუტსაიდერები ხვდებიან ერთმანეთს. აუტსაიდერთა შორისაა ხაშურის „ივერიაც“, რომელიც ამ დღეს „გორდას“ ხვდებოდა. რუსთაველები თავიანთი ლიდერის — ფანცულაიას გარეშე გამოვიდნენ მინდორზე და ხაშურელ გულშემატკივრებს უფრო გაუღვივდათ გამარჯვების რწმენა, მაგრამ პირველი ტაიმი მათ კარგ არაფერს უქადდათ. ბურთი ძირითადად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, მოწინააღმდეგენი არ ცდილობდნენ თამაშის გამწვავებას. ასე გაგრძელდა 43-ე წუთამდე. ამ წუთზე კი „გორდას“ შეტევისას მიქაშავიძის კარგი გადაცემა მიიღო თორდიშვილმა, ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს, შეიცვალა მიმართულება და ანგარიში გაიხსნა — 1:0.

მეორე ნახევარში ხაშურელებმა, რომელთაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, მთელი ძალით შეუტიეს. ერთ-ერთი იერიშის დროს „გორდას“ მცველებმა უხეშად ითამაშეს თავის საჯარიმოში და კისელიოვის მიერ დარტყმულმა თერთმეტმეტრიანმა მიზანს მიაღწია — 1:1. ივერიელებს არც შემდეგ შეუწყვეტიათ შეტევები: 74-ე წუთზე ტარიელაშვილმა შორიდან ძლიერი დარტყმით მეორე გოლი გაიტანა სტუმართა კარში — 2:1. „გორდას“ რამდენიმე სახიფათო იერიში უშედეგო აღმოჩნდა. ბოლო წუთებზე ჩინებული გარღვევა განახორციელა მჭედლიშვილმა (ეს გარღვევა და ტარიელაშვილის მიერ გატანილი გოლი დიდი ფეხბურთის ფრაგმენტები გახლდათ), მას უხეშად ეთამაშნენ და თერთმეტმეტრიანის დარტყმა კვლავ კისელიოვს მიანდეს, მაგრამ ამჯერად იმარჯვა ქორიძემ..

**გოგი გოგოლაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 2:5 (2:1).**

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 14 ივნისი.

„სამგურალი“: მიქაძე, გ. ჯანელიძე, გოგელიძე, ხურცილავა (ჰ. იობიძე), ვ. ფეხტვენიძე, ჰელიძე, ლ. ფეხტვენიძე, სიჰინავა, ჭყონია, ბაბუნიძე, ხარაბაძე (იონანიძე).

„ქუთაისი“: მ. თევზაძე, გ. თევზაძე (წივწივაძე), წიქარიშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, შენგელია, სუხიაშვილი (მანაგაძე), ხუნდაძე, ჯანაშია, დარასელია, ფაიქიძე.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხაშური), შ. ბერაძე (თბილისი), გ. ახკაროლლი (ქარელი).

შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, მაღალ ტემპში დაიწყო. ეს არც იყო გასაკვირი: ორივე გუნდში ყოფილი თანაკლუბელები თამაშობენ და კარგად იციან ერთმანეთის ძლიერი და სუსტი მხარეები. პირველ წარმატებას „სამგურალმა“ მე-3 წუთზე მიაღწია: მარჯვენა ფრთაზე ვ. ჭყონია გასცდა თავის მეურვეს, ბურთი ჩააწოდა სტუმართა საჯარიმო მოედანში, სადაც ყველას დაასწრო ი. სიჰინავამ და ქუთათურთა გუნდს ცენტრიდან მოუხდა თამაშის დაწყება. სამი წუთის შემდეგ თ. ფაიქიძემ აღადგინა წონასწორობა. 31-ე წუთზე გ. ბაბუნიძის ძლიერი დარტყმა კუთხურზე მოიგერია სტუმართა მეკარე მ. თევზაძემ, მარჯვენა ფრთიდან კუთხური ჩააწოდა თვით ბაბუნიძემ და მოედანზე ახლად შემოსულმა იონანიძემ თავური დარტყმით კვლავ დააწინაურა „სამგურალი“. 42-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრების შანსი გაუჩნდა დარასელიას, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა.

მეორე ნახევარი მთლიანად ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა. სტუმრებმა მთელი ძალები თავდასხმაში გადაისროლეს, აზრიანად და სახიფათოდ უტევდნენ. 52-ე წუთზე დარასელიას წინააღმდეგ უხეში თამაშისათვის დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად დაარტყა ქუთაისელთა საუკეთესო ბომბარდირმა ხუნდაძემ და გაათანაბრა ანგარიში. აქვე ვიტყვით, რომ ქუთაისელთა დიდი მონდომება იოლი ასახსნელია — ისინი საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან. 56-ე წუთზე ფაიქიძემ დააწინაურა თავისიანები, 74-ე წუთზე კი ჯანაშიამ მეოთხე გოლი გაიტანა წყალტუბოელთა კარში. ანგარიშს წერტილი დაუსვა გ. დარასელიამ — მან 89-ე წუთზე მეხუთედ აიღო მასპინძელთა კარი. ქუთაისელთა ახალგაზრდულმა გუნდმა მიაღწია საწადელს და მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვა, „სამგურალმა“ კი დიდი ანგარიშით ზედიზედ მეორედ დამარცხების გამო, საკმაოდ გაიუარესა ბურთების შეფარდება.

**ომარ ჟუჟუნიძე,**
**„ლელოს“ კორ.**

საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

# ეროვნული ლიგა

## IX ტური

თბილისი. აგრარული უნივერსიტეტის სტადიონი. 15 ივნისი

**„რაში“ (თბილისი) — „ყოჩები“ (თბილისი) 3:28 (0:18).**

„რაში“: მურვანიძე, ლეკვეიშვილი, კიკნაძე, ბახტაძე, ჟვანია; თ. ცინცაძე, გაბაშვილი; ლომიძე (აბალკაძე), წიქარიძე, ლონდაძე (ჭიპაშვილი); ჯოხია, რაზმაძე, დაუშვილი, ლაბაძე (წოწელია); ჰურღულაშვილი.

„ყოჩები“: თათარაშვილი, ლიპარტელიანი, ბარძიმიშვილი, ჯაფარიძე, ყუბანეიშვილი; გეგენავა, ჰეიშვილი; გიგაშვილი, გაფრინდაშვილი, გიორგაძე, შამათავა, გოგიშვილი, თეზელაშვილი, კობახიძე; დიდებულიძე.

მსაჯი: გოჩა აბაშიძე (თბილისი).

„ყოჩებმა“ დასაწყისშივე გადაწყვიტეს მატჩის ბედი — თავიდანვე მწვავედ შეუტიეს მეტოქეს, ინიციატივასაც მტკიცედ დაეუფლნენ და ბოლომდე არ გაუშვიათ იგი ხელიდან.

ანგარიში მეათე წუთზე გაიხსნა — ჰეიშვილი მოლიდან „გაეპარა“ მეტოქეებს, კარგა მანძილზე ირბინა და ლიპარტელიანს ლელო გაატანინა. მალე ამ უკანასკნელმა წამოიწყო შეტევა, რომელიც გააგრძელეს გეგენავამ და კობახიძემ, ხოლო ლელოთი დაასრულა დიდებულიძემ. „რაში“ შეეცადა გარდატეხა შეეტანა თამაშში, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ტაიმის ბოლოს გაფრინდაშვილის ლელოც გაუშვა. გარდასახვა სამივეჯერ ზუსტად გამოიყენა კობახიძემ.

საერთო სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა — „ყოჩებმა“ მთელი ძალით აამოქმედეს შერკინება, მათი რვავე მორკინალი ერთ მუშტად შეკრული იბრძოდა, მათი ლიდერობა მოულოდნელად ითავა ამ მატჩში საუკეთესომ — თემურ გაფრინდაშვილმა. მეტოქეს არც „რაში“ ჩამორჩა და ერთობ საინტერესო თამაში გაჩაღდა.

„ყოჩები“ უფრო მობილიზებულნი იყვნენ და ეს შედეგშიც აისახა: ჯერ დიდებულიძემ გაიტანა ლელო კონტრშეტევით, შემდეგ, საკუთარი 22-მეტრიანი მოედნიდან დაწყებული იერიში, რომელიც გარღვევებისა და პასების მონაცვლეობით განვითარდა, ეფექტურად დაასრულა ბარძიმიშვილმა, ორი ლელოც კობახიძემ გარდასახა. „რაშმა“ ისღა შეძლო, რომ თ. ცინცაძის მიერ გატანილი საჯარიმოს წყალობით „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას გადარჩა.



გასულ კვირას თბილისის „შევარდენმა“ ორი მატჩი მოიგო — თბილისის „რაშთან“ — 36:3, ქიათურის „იმერეთთან“ — 28:9 და ფინალურ ოთხეულში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამ ფოტოზე „შევარდენისა“ და „რაშის“ შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი. უტევს „შევარდენის“ გარემარბი ირაკლი დვალი.

ირსებ აბრამიშვილის ფოტო.

სპორტულ ტანვარჯიშში

# პროგნოზები გამართლდა

**ყოველ** შეჯიბრებას თავისი ფავორიტი ჰყავს. არც ამჯერად დარღვეულა ეს ტრადიცია. ტანმოვარჯიშეთა საქართველოს ჩემპიონატში (მრავალჭიდი), რომელსაც ბათუმმა უმასპინძლა, . გამარჯვებას ყველა თბილისელ ლევან სისაურსა და ქუთაისელ სოფიკო მანაგაძეს უწინასწარმეტყველებდა. ასეც მოხდა — ლევან სისაურმა მრავალჭიდში 56,1 ქულა მოაგროვა და საგრძნობლად გაუსწრო თანაგუნდელ პრიზიორებს — ნუგზარ ლვინიაშვილსა (54,85) და კობა ჩოხელს (53,15).

მცირე ხნის შესვენების შემდეგ, რაც ავადმყოფობით იყო გამოწვეული, სარბიელზე კვლავ ვიხილეთ სოფიკო მანაგაძე. მისმა ოსტატობამ, რომ იტყვიან, თავისი გაიტანა, რაზეც მისი შედეგიც მეტყველებს — 38,1 ქულა. მასპინძელთა გუნდის წევრი ეთერ დიასამიძე გამარჯვებულს 0,2 ქულით ჩამორჩა. მესამე იყო თბილისელი ლია აბდუშელიშვილი — 37,55.

ოსტატთა პარალელურად იასპარეზეს ოსტატობის კანდიდატებმა და პირველთანრიგოსნებმა. კანდიდატებში ვაჟთა შორის ყველას აჯობეს ზუგდიდელებმა, რომლებმაც სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს: 50,65 ქულით პირველი იყო დიმიტრი წითაშვილი, მეორე — ლევან ბუაძე (49,1), მესამე — გოგი სორდია (49,05). ქალთა შორის თავი ისახელეს მანანა ბერუკაშვილმა (თბილისი) — 36,5, მაია ყორყოლიანმა (ქუთაისი) — 36,3 და ქეთინო გელაშვილმა (თბილისი) — 35,5.

პირველთანრიგოსან ჭაბუკთაგან სხვებზე უკეთ გამოვიდნენ ალეკო თვაური (თბილისი) — 112,75, ილია გიორგაძე (ქუთაისი) — 112,1 და ვეფხია ზუბაევი (თბილისი)—111,2. ტატიანა ეტკომ — 71,2, დარიკო ქენქაძემ (ორივე — თბილისი) — 67,7 და ნინო გიორგაძემ (ქუთაისი) — 62,0 თავი გამოიჩინეს გოგოებში.

გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: ვაჟები. 1. თბილისი, 2. ზუგდიდი, 3. ბათუმი. ქალები. 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. ბათუმი.

**რამინ ჟურაშვილი**

# პირველი პრიზი — იტალიელებს

**შვეციაში** დამთავრდა 4 ნაკრების საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ შვეციის, იტალიის, საბჭოთა კავშირისა და დანიის გუნდები.

კვირას გაიმართა ფინალური მატჩი პირველი ადგილისთვის იტალიისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებს შორის. როგორც იცით, ორივე ეს ნაკრები ევროპის მომავალი ჩემპიონატის ერთ შესარჩევ ჯგუფში გამოდის.

თამაში საბჭოთა ფეხბურთელებმა წარმატებით დაიწყეს, კორნეევმა დაახლოებით 18 მეტრიდან გახსნა ანგარიში, მაგრამ იტალიელებმა ტაიმის დასასრულს საპასუხო ბურთი გაიტანეს (ჯანინი).

შესვენების შემდეგ და დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა. ტურნირის რეგლამენტის შესაბამისად, დაინიშნა მატჩის შემდგომი 11-მეტრიანები. მართალია, იტალიელი ბერტის პირველი დარტყმა მოიგერია მეკარე ჩერჩესოვმა, მაგრამ საბოლოოდ იტალიელები უფრო ზუსტნი იყვნენ და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 4:3. საბჭოთა ფეხბურთელთაგან 11-მეტრიანები არაზუსტად დაარტყეს მოსკოვის სპარტაკელებმა კულკოვმა, შალიმოვმა და მოსტოვოიმ.

ფინალში გამარჯვებისთვის იტალიის ნაკრებმა მიიღო პირველი პრიზი და ფულადი ჯილდო — 160 ათასი დოლარი.

# ჰოკეის მუშკეტერი

**მონრეალის „ფორუმს" მსგავსი არაფერი უნახავს. რამდენიმე ათასი ადამიანით გადაჭედილ სპორტის სასახლეში ექვსი წუთი არ დამცხრალა ოვაციები. აღფრთოვანებული გულშემატკივრები ხმაჩახლეჩილები გაჰყვიროდნენ: „მე შენ მიყვარხარ, გი!" ამ მილოცვების მიზეზი კი ცენტრალურ წრეში ჩამდგარიყო და ნაღვლიანად იღიმებოდა. იმ დღეს ჰოკეის ეთხოვებოდა შეუდარებელი გი ლეფლერი.**

• • •

**„მონრეალის"** ფრანგულგვაროვანი გრძელთმიანი ჰოკეისტები უნებურად იწვევდნენ ალექსანდრე დიუმას რომანების გმირი-მუშკეტერების ასოციაციას. ლეფლერს ყველაზე მეტად ათოსის როლი შეეფერებოდა: პარტნიორებისაგან განსხვავებით, ნაკლებად აზარტული და ჰირვეულია; ყოველთვის გამოირჩეოდა თავშეკავებით, სათამაშო ინტელექტით, კეთილშობილებითა და ჰოკეისტთა უმრავლესობისთვის იშვიათობად ქცეული გალანტურობით. ის პერიოდი „მონრეალ კანადიენსისთვისაც" და ლეფლერისთვისაც „ოქროს ხანა" იყო. სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში გი საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში: 1977-1978 წლებში იგი ლიგის ყველაზე ძვირადღირებულ მოთამაშედ აღიარეს, სათვალავი არ ჰქონდა მის მიერ მოპოვებულ ჯილდოებს. ლეფლერისთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ „დიდოსტატური ულუფა" — ერთ სეზონში გატანილი ორმოცდაათი შაიბა და ასი შედეგიანი ქულა.

მაგრამ მალე უეინ გრეცკის ვარსკვლავი ამობრწყინდა და ლეფლერი დაიჩრდილა. სხვა ახალი კერპებიც ავიწროებდნენ ძველებს. „მონრეალმაც" დათმო ლიდერობა. გუნდში უთანხმოება წარმოიშვა, კერძოდ, ხელმძღვანელობამ „ხანდაზმულები" თამაშის კლასის დაქვეითებაში დაადანაშაულა და გუნდიდან წასვლაც აფიქრებინა. კონფლიქტში ლეფლერიც ჩაითრიეს და მანაც 1985 წელს „კარი გაიჯახუნა" — საკუთარი სურვილით დატოვა „მონრეალი" და, ალბათ, საერთოდ ჰოკეიც. თუმცა ვეტერანთან განშორებამ მაინც ვერ უშველა „კანადიენსს", კლუბმა ველარ შეძლო მოწინააღმდეგეების ჯობნა...

უნდა ითქვას, რომ კანადურმა პრესამ ღირსეული მიაგო და არ დაივიწყა თავისი ნებიერა ყინულის სარბიელის მიტოვების მერე. თუმცა, ლეფლერის გულშემატკივრებს ჟურნალისტებმა საიმედო ვერაფერი აუწყეს: გიმ სმას მიჰყო ხელი (სწორედ ისე, როგორც ათოსმა...), მთელ დღეებს მარტოობაში ატარებდა და ყველასგან განცალკევებას ესწრაფვოდა. გავრცელდა ჭორიც, თითქოსდა ექსფორვარდი ნარკოტიკებსაც იღებდა, თუმცა, ლეფლერი თავგამოდებით უარყოფდა ამას.

რაოდენ დიდი იყო გულშემატკივართა სიხარული, როცა სამი წლის შემდეგ ლეფლერმა ჰოკეიში დაბრუნება გადაწყვიტა. თუმცა სიხარული გაოგნებამ შეცვალა — გიმ „მონრეალის" „დაუძინებელი მტრის" „ნიუ-იორკ რეინჯერსის" ფორმა ჩაიცვა. მომდევნო სეზონში იგი კვებეკ-სიტის „ნორდიქსში" გადავიდა. ოდესღაც სწორედ ამ ქალაქში დაიწყო მისი კარიერა, აქ შეიძინა პირველი გულშემატკივრები, ჭაბუკთა გუნდში რომ გამოდიოდა. სწორედ მაშინ დაადგეს მას თვალი „მონრეალის" სელექციონერებმა, რომლებიც, ტრადიციულად, ფრანგულენოვან მოთამაშეებს იწვევენ ხოლმე.

აუცილებელი იყო ლეფლერის დაბრუნება „კვებეკ ნორდიქსში", ლიგის ამ უმნიშვნელო კლუბში, „გედის სიმღერის" შესასრულებლად, თუმცა ჰოკეის ეროვნული ლიგის აუტსაიდერიც ჩინებული გუნდია. ამასთან, ახალგაზრდებისთვის ყოველთვის სასარგებლოა ასეთ ოსტატებთან თამაში. დაბოლოს, საზოგადოება გამორჩეულად აფასებს ვარსკვლავებს: მაყურებელთა უმრავლესობა უმთავრესად ლეფლერის საყურებლად მიდიოდა. ცხადია, ის ისეთი აღარ იყო, როგორიც ადრე: ბოლო, მეჩვიდმეტე სეზონში, 58 მატჩში გატანილი თორმეტი გოლი და თექვსმეტი შედეგიანი გადაცემა საშუალო მაჩვენებელია ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში მეშვიდე ბომბარდირისთვის. მაგრამ, რაკი მენეჯერები თითქმის ორმოცი წლის მოთამაშეს გუნდში ტოვებენ, ცხადია, საჭიროდ მიიჩნევენ ამას. მოგეხსენებათ, ქველმოქმედება საქმის საზიანოდ პროფესიულ სპორტში არ არის მიღებული.

ყინულის სარბიელზე დაბრუნებით ლეფლერი რომ არ შემცდარა, ამის საუკეთესო დასტურია თავისი მასშტაბით უსაზღვრო კამპანია, რომელიც წინ უძღოდა ამ გაზაფხულზე ჰოკეიდან მის საბოლოოდ წასვლას. გი გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის ყურადღების ცენტრში მოექცა, მისმა ყოფილმა პარტნიორმა „მონრეალში" ყველანაირ კომპლიმენტთან ერთად, მისი ექსცენტრულობაც აღნიშნა, ამის ახსნაც თვით ლეფლერმა იკისრა და თქვა, რომ ამ უცნაურობაში მეგობარი მის სანთლებანთებულ ოთახში ჩაკეტვას და ლექსების წერას გულისხმობდა.

მონრეალის გაზეთმა „პრესმა" თავისებური კონკურსი გამოაცხადა: მკითხველებს შესთავაზა ლეფლერისთვის წერილის მიწერა, რომელთაგან საუკეთესოს გამოაქვეყნებდა. მოწოდებას სამიათას ხუთასი ადამიანი გამოეხმაურა. სრულიად განსხვავებული წერილები მიიღეს, სქესის, ასაკის, გემოვნებისა და ლიტერატურული ოსტატობიდან გამომდინარე. ამასთან, ავტორები ერთხმად აღნიშნავდნენ ლეფლერის ნიჭს, მის დიდსულოვნებას და პატიოსნებას. ბევრს ხიბლავდა ჰოკეისტის მოკრძალება, მილიონობით გულშემატკივრის კერპად აღიარების შემდეგაც რომ შეინარჩუნა. კანადელებისთვის იგი იყო და დარჩა, რომ იტყვიან, „ჩვენ ბიჭად" და ეს ხელოვნურად შექმნილი იმიჯი როდია, სხვა ვარსკვლავებს რომ სჭირთ, არამედ ლეფლერის ჭეშმარიტი „მე" გახლავთ. შემთხვევითი არ არის, რომ მას ბევრი ახლობლად მიიჩნევს. კანადელებს ახსოვთ, როგორ ჩაეძინა დაღლილ ჰოკეისტს ავტომობილის საჭესთან და მონრეალის ერთ-ერთ ქუჩაზე საგზაო ნიშანს შეეჯახა. ვითარების დრამატულობა დროთა განმავლობაში განელდა და ახლა ამ ეპიზოდზე გულთბილად, ოდნავი ირონიით ლაპარაკობენ, იგონებენ იმასაც, რომ ნაადრევი თმისცვენის შესაჩერებლად ფორვარდმა საგრძნობი თანხა დახარჯა, ოპერაციაც კი გაიკეთა...

ლეფლერის სპორტული კარიერა კვებეკში წამოწყებულ სერიოზულ გარდაქმნებს დაემთხვა — სულ უფრო ძლიერდებოდა მოძრაობა ამ პროვინციის კანადიდან გამოყოფის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ლეფლერი ყოველთვის გაურბოდა პოლიტიკას, ბევრი თანამოქალაქე მას „პროვინციის სრულუფლებიან ელჩად" მიიჩნევს. ამას ისინი გულახდილად აღიარებენ წერილებში: „თვით შენი პირადი გასაჭირის დროსაც კი, შენ ის ერთ-ერთი იშვიათი კანადელი ფრანგი იყავი, ვინც ერთი ოკეანის ნაპირიდან მეორემდე ჩვენი სიამაყის სიმებს არხევდა" — ასეთი პათოსით „შეეხმიანა" „პრესში" ოცდათოთხმეტი წლის ანდრე რობერჟე. ორმოცი წლის ენრიკო როსელიმ კი აღნიშნა: „მე არ მესმოდა, რას ნიშნავდა ყოფილიყავი კვებეკელი, მანამდე, სანამ ერთხელ „ფორუმში" ლეფლერის მიერ გატანილი შაიბის შემდეგ აღტაცებულ გულშემატკივრებს არ შევუერთდი".

— მეამაყება ის, რასაც მივაღწიე, — განაცხადა გიმ ჰოკეისთან გამოთხოვების წინ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ინტერვიუში.— ყოველთვის იმ ადამიანებისთვის ვაკეთებდი, რომელთაც ცხოვრებაში რაიმე სერიოზული ნაბიჯის გადადგმის ეშინიათ. ეს იმიტომ, რომ ახალ თაობას შეეგნო: არ უნდა გეშინოდეს რაიმეს გაკეთებისა, მაშინაც კი, როცა გრძნობ, რომ მიზნის მიღწევა არ შეგიძლია.

საზეიმო გაცილების აპოთეოზი გახდა ორდღიანი შოუ — ჯერ მონრეალში, შემდეგ კვებეკ-სიტიში. „ფორუმს", ალბათ, ასეთი შებორკილი ლეფლერი არ უნახავს, როგორც იმ საღამოს, მოგვიანებით, თვითონვე აღიარა, რომ გაჭირვებით იკავებდა ცრემლებს, როცა საპატიო წრეს უვლიდა და გულშემატკივრებს ესალმებოდა. ცერემონიალი გულის ამაჩუყებელი იმიტომაც იყო, რომ იგი საბოლოო შემრიგებლურ აქტად იქცა ფორვარდსა და მშობლიურ გუნდს შორის. ჰოკეისტის და „მონრეალის" პრეზიდენტის რონალდ კორის ხელის ჩამორთმევა ურთიერთს შორის არსებული პრეტენზიებისა და მუქარის დავიწყებას მიანიშნებდა.

ლეფლერს გულთბილად გამოემშვიდობა კვებეკ-სიტიც. იმ საღამოს ტელერეპორტაჟის წამყვანმა, ყოფილმა მწვრთნელმა ჟაკ დემერმა განაცხადა: „ლეფლერთან გამოთხოვება ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რაც კი პროფესიულ ჰოკეიში თვრამეტი წლის კარიერის მანძილზე მინახავს. მეამაყება, რომ ასეთი ადამიანი არსებობს". გის დითირამბები უძღვნეს ქალაქის მამებმა, ქუმღერეს კვებეკის საუკეთესო მსახიობებმა. როდესაც გულშემატკივრებს მადლობა გადაუხადა, ლეფლერმა ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალგაზრდა მოთამაშეებიც დაარიგა: „წარმატების მოსაპოვებლად. ერთი გზა არსებობს — თითოეული მატჩი ითამაშოთ ისე, როგორც უკანასკნელი"... დარბაზი მქუხარე ოვაციამ შეაზანზარა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი ლეფლერმა თავისი ბოლო მატჩი ითამაშა. ბედის ირონია იყო, რომ მისი გუნდი „კვებეკი" ამ მატჩში „მონრეალ კანადიენსს" დაუპირისპირდა. აღსანიშნავია, რომ მაყურებელთა უმრავლესობას იმდენად მატჩის სიუჟეტი და შეხვედრის შედეგი არ აინტერესებდა, რამდენადაც თავიანთი კერპის საქციელი. ბუნებრივია, ძალიან უნდოდათ, რომ გოლი გაეტანა, ანდა შედეგიანი გადაცემა განეხორციელებინა, მაგრამ... შეეძლოთ კი მონრეალელ მცველებს დახმარებოდნენ ყოფილ თანაკლუბელს ეფექტური წერტილის დასმაში? ალბათ, შეეძლოთ. მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ ჰოკეის მუშკეტერი ამგვარ საქციელს შეურაცხყოფად მიიღებდა.

ლეფლერმა გვიან ღამით დატოვა სპორტის სასახლე, რადგან შიშობდნენ, რომ ექსპანსიური თაყვანისმცემლები სუვენირებად დაინაწილებდნენ მის კოსტუმს. ცხადია, კანადაში ტანსაცმლის შეძენის პრობლემა არ არსებობს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მას სტადიონის მოსამსახურეთა და პოლიციელების ესკორტი აახლეს. მიუხედავად იმისა, რომ გამოსათხოვარი ცერემონიალის დასრულებიდან რამდენიმე საათი გავიდა, ორასამდე კაცი მოთმინებით ელოდა კერპის გამოჩენას. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა — შეკრებილნი ერთხმად გაიძახოდნენ: „გმადლობთ, გი!".

**მოამზადა ბელა ჯილაურმა.**

---

**ტიხონ გერაძე**



გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი, ქუთაისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი წევრი ტიხონ იოსების ძე გერაძე.

დაიბადა 1917 წელს ქუთაისში. იქვე დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი 1946 წელს.

ტ. გერაძე სტუდენტობის წლებიდანვე ჩაება სპორტულ ცხოვრებაში, თავდაპირველად თამაშობდა თბილისის „მოტორის" ფეხბურთელთა გუნდში, შემდეგ თავისი სპორტული ბიოგრაფია მთლიანად ქუთაისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდს დაუკავშირა და დიდი წვლილი შეიტანა მის წარმატებებში. „დინამო" 1944-1947 წლებში კონსტიტუციის თასს დაეუფლა, ხოლო 1946 წელს რესპუბლიკის ჩემპიონიც გახდა.

პარალელურად სამეურნეო მუშაობას ეწეოდა და ყოველთვის გამოირჩეოდა მინდობილი საქმისადმი ერთგულებითა და მაღალი პასუხისმგებლობით.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქალაქის სპორტულ ცხოვრებასთან, განსაკუთრებით ახარებდა ბოლო წლებში ქუთაისელ ფეხბურთელთა დიდი მიღწევები რესპუბლიკურ თუ გარე სარბიელზე.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ძირძველი ქუთაისელი, მშობლიურ ქალაქზე საოცრად შეყვარებული კაცი. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანაგუნდელთა და მრავალრიცხოვან გულშემატკივართა გულში.

**ქუთაისის ფეხბურთის საქალაქო ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი.**

---

რედაქტორი
**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

---

**• განცხადებები • განცხადებები • განცხადებები • განცხადებები • განცხადებები • განცხადებები**

**„სპორტლოტო 5 36" და „სპორტლოტო 6 45" მონაწილეთა საყურადღებოდ!**

**1991 წლის 30 ივნისს, ძირითად, 26-ე ტირაჟისგან განცალკევებით ჩატარდება სპეციალური ტირაჟი „სუპერტირაჟი — სნ".**

მონაწილეობენ მხოლოდ 10-ტირაჟიანი ბილეთები, რომლებიც ითამაშებენ ერთ ტირაჟში ათმაგად, რისთვისაც ბილეთის სამივე ნაწილში უნდა გადაიხაზოს ის უჯრედი, რომელშიც ჩაწერილია ასო „ვ", ხოლო ტირაჟის მიმანიშნებელ ადგილას ჩაიწეროს „სნ".

ორივე ლატარიაში მოგებათა ფონდი დადგენილია ორ ჯგუფზე, რომელიც განაწილდება შემდეგნაირად:

„სუპერტირაჟში 5 36" — I ჯგუფი — 5 ნომერზე — ფონდის 20%.

II ჯგუფი — 4 ნომერზე — ფონდის 80%.

„სუპერტირაჟში 6 45" — I ჯგუფი — 6 ნომერზე — ფონდის 20%.

II ჯგუფი — 5 ნომერზე — ფონდის 80%

იმ შემთხვევაში თუ პირველ ჯგუფში მოგება არ აღმოჩნდა, მოგებათა ფონდი მთლიანად გადადის მეორე ჯგუფში. მოგების მაქსიმალური თანხა განუსაზღვრელია.

„სპორტლოტო 5 36" ხუთი ნომრის და „სპორტლოტო 6 45" ექვსი ნომრის გამოცნობისთვის მოთამაშეებს უფლება ეძლევათ ურიგოდ შეიძინონ ავტომანქანები — სამი „ვოლგა" გაზ 24-10 და შვიდი „ჟიგული".

თუ პირველი ჯგუფის მოგების მფლობელთა რიცხვი არ აღემატება სამს, ყველა მიიღებს ავტომანქანა „ვოლგას", ხოლო თუ აღმოჩნდა სამზე მეტი მოგება, სამივე „ვოლგა" და შვიდი „ჟიგული" გათამაშდება კენჭისყრით, რომელიც ჩატარდება „სპორტლოტოს" 28-ე ტირაჟის დროს და გადაიცემა ცენტრალური ტელევიზიით.

სუპერტირაჟისთვის შევსებული ბილეთების მიღება დამთავრდება „სპორტლოტოს" 26-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

**მიიღეთ მონაწილეობა „სუპერტირაჟში".**

**საქსპორტლოტო**

---

**საქართველოს ნარდის ფედერაცია**

12-14 აგვისტოს ქ. ოზურგეთში ჩატარდება „გურიის" თასის გათამაშება ნარდში, 15-20 აგვისტოს ქ. ბათუმში „შავი ზღვის" თასის გათამაშება, ხოლო 21-25 აგვისტოს ქობულეთში — „აჭარის თასის" გათამაშება.

ტურნირებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, რომლებიც სნეფის წევრები არიან.

რეგისტრაცია ჩატარდება თბილისში 20 ივნისიდან 1 აგვისტომდე, 11-დან 17 საათამდე. მისამართი: ჩიტაძის ქ. № 8. I სართული, სნეფი, ტელ.: 98-86-11, 98-86-12, 93-71-87.

ადგილებზე: ქ. ოზურგეთში — სპორტის დეპარტამენტის განყოფილება, ყოფილი ჟდანოვის 27, ტელ.: 6-47--49;

ქ. ბათუმში — სნეფის ბათუმის განყოფილება, ნინოშვილის ქ. 39, ტელ.: 2-23-84;

ქ. ქობულეთში — სნეფის ქობულეთის განყოფილება, აღმაშენებლის ქ. 247, ტელ.: 49-04.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები: მ. ძეძამიძე, ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-65
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მარაო" — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. [illegible], ხელმოწერილია, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20